



ქუნთრუმა - *Scarlet Fever*

გამომწვევი - A-ჯგუფის B-ჰემოლიზური სტრეპტოკოკი.

ინფექციის წყარო - დაავადებული ქუნთრუმით, ან ნებისმიერი სტრეპტოკოკული ინფექციით, ან A-ჯგუფის სტრეპტოკოკის მტარებელი.

კონტაგიოზურობის ინდექსი - 100%

გადაცემის მექანიზმი - აეროგენული, კონტაქტურ-საყოფაცხოვრებო.

რისკ-ფაქტორი - რესპირატორული სეკრეტი, საკვები პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები.

პროფილაქტიკა/იმუნიტეტი - სპეც. იმუნიზაცია არ ტარდება.

ინკუბაციური პერიოდი - 2-7 დღე.

გადამდებლობა - დაავადების დაწყებიდან 10-12 დღე, გაურთულებელი მიმდინარეობისას და ადექვატური ანტიბიოტიკოთერაპიის შემთხვევაში.

ლაბორატორიული დადასტურების კრიტერიუმი:

შემთხვევა, რომელიც შეესაბამება ქუნთრუმას კლინიკურ აღწერილობას და

- ✓ სეროლოგიური კვლევით IgM(+) დადებითია, ან IgM IgG-სთან ერთად არის დადებითი ან
- ✓ ხახის ნაცხიდან გამოიყოფა A-ჯგუფის B-ჰემოლიზური სტრეპტოკოკი.

ეპიდემიოლოგიური დადასტურების კრიტერიუმი:

- ✓ შემთხვევა, რომელიც შეესაბამება ქუნთრუმას კლინიკურ აღწერილობას და აქვს ეპიდემიოლოგიური კავშირი სავარაუდო, ან ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან.

ეპიდკავშირის განმარტება:

- ✓ კონტაქტი სხვა სავარაუდო, ან ლაბორატორიულად დადასტურებულ შემთხვევასთან პირველი სიმპტომების გამოვლენამდე 2-7 დღით ადრე.

ეპიდ. ღონისძიებები სტაციონარში:

- ✓ გამოვლენილი კლინიკური შემთხვევის წვეთოვანი იზოლაცია პალატა-ბოქსში ან პროფილურ დაწესებულებაში გადაყვანა;



- ✓ სავარაუდო/ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევის ანგარიშგება დადგენილი წესით(ყოველთვიური შეტყობინება).

ღონისძიებები კონტაქტში მყოფ პირებთან მიმართებაში:

- ✓ კონტაქტირებულები ექვემდებარებიან სრულ ან კოჰორტულ იზოლაციას და დაკვირვებას ბოლო კონტაქტიდან 10 დღის განმავლობაში.

1. <http://www.cdc.gov/Features/ScarletFever/>
2. ბრძანება #01-02/ნ "სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ"